სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №137

ქ. ბათუმი 22 მაისი 2018 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე ნიკა კვაჭანტირაძე (შემდგომში მიმწოდებელი) („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი - 39130000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - შემსყიდველს, ხოლო ერთი - მიმწოდებელს.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელმა შემსყიდველს 2018 წლის 10 ივნისის ჩათვლით უნდა მიაწოდოს შემდეგი საოფისე ავეჯი:

- კედლის დამცავი - 21 ცალი, ერთი ცალის ღირებულება არის 18 (თვრამეტი) ლარი, სულ 378 (სამას სამოცდათვრამეტი) ლარი;
- მაგიდა - 1 ცალი, ღირებულებით 250 (ორასორმოცდაათი) ლარი;
- კომოდი პატარა - 7 ცალი, ერთი ცალის ღირებულება არის 120 (ასოცი) ლარი, სულ 840 (რვაასორმოცი) ლარი;
- კომოდი დიდი - 1 ცალი, ღირებულებით 210(ორასათი) ლარი;
- კარადა 5 დანაყოფიანი თაროთი - 2 ცალი, ზომა - 183X70 სმ, ერთი ცალის ღირებულება არის 300 (სამასი) ლარი, სულ 600 (ექვსასი) ლარი;
- კარადა 20 დანაყოფიანი თაროთი- 1 ცალი, ზომა -185X180 სმ, ღირებულებით 490 (ოთხას ოთხმოცდაათი) ლარი;
- მაგიდა- 4 ცალი, ერთი ცალის ღირებულება არის 170 (ასსამოცდაათი) ლარი, სულ 680 (ექვსას ოთხმოცი) ლარი;
- კედლის თარო 9 დანაყოფით- 1 ცალი, ზომა - 230X70 სმ, ღირებულებით 280 (ორასოთხმოცი) ლარი;
- მაგიდის უჯრები, 3 ცალი, ერთი ცალის ღირებულება არის 25 (ოცდახუთი) ლარი, სულ 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარი;
- მაგიდა უჯრებიანი - 2 ცალი, ერთი ცალის ღირებულება არის 180 (ასოთხმოცი) ლარი, სულ 360 (სამას სამოცი) ლარი;
- ბატარიების შესაფუთი - 2 ცალი, ერთი ცალის ღირებულება არის 105(ასხუთი) ლარი, სულ 210 (ორასათი) ლარი;
- ბატარიების შესაფუთი შუშის - 4 ცალი, ერთი ცალის ღირებულება არის 100 (ასი) ლარი, სულ 400(ოთხასი) ლარი.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **4773 (ოთხიათას შვიდას სამოცდაცამეტი)** ლარს.

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

4.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის, ან/და სასაქონლო ზედნადების გაფორმებით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N 84/86, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.

5.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირებია:

ა) სულხან ღლონტი - დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ბ) ჯაბა ბერიძე - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

გ) კობა წულაძე - დეპარტამენტის მატერიალურ ტექნიკურ ბაზაზე პასუხისმგებელი პირი.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს მიაწოდოს სათანადო ხარისხის საქონელი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კობა წულაძე - დეპარტამენტის მატერიალურ ტექნიკურ ბაზაზე პასუხისმგებელი პირი.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული

შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	*ინდივიდუალური მეწარმე ნიკა კვაჭანტირაძე*
საიდენტიფიკაციო კოდი - 245427809	*საიდენტიფიკაციო კოდი - 26001012117*
ტელ: (+995) (422) 27 50 23	*ტელ:574090903*
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №84/86	*მისამართი: ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქ. N165*
საბანკო რეკვიზიტები:	*საბანკო რეკვიზიტები:*
	„საქართველოს ბანკი“
	ბანკის კოდი – BAGAGE22
	ა/ნ – GE50BG0000000620282900
დეპარტამენტის თავმჯდომარე	*ინდივიდუალური მეწარმე*
_____ */სულხან ღლონტი/ ბ. ა.*	_____ */ნიკა კვაჭანტირაძე/ ბ. ა.*

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ **საოფისე ავეჯის** შესყიდვის მიზნით 2018 წლის 22 მაისს ინდ. მეწარმე ნიკა კვაჭანტირაძესთან გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N137 ხელშეკრულებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დეპარტამენტის თავმჯდომარე	სულხან ღლონტი
დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე	ჯაბა ბერიძე
დეპარტამენტის მატერიალურ ტექნიკურ ბაზაზე პასუხისმგებელი პირი	კობა წულაძე

22 მაისი 2018 წელი